

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტი-საქართველო

www.avgroup.pro

AVgroup
CONSULTING



avgdevelopment



avg_consulting



avg-sustainable-development-consulting

f



in



კონფიდენციალური

თარიღი: ნოემბერი 2023

გამოშვება რედაქცია:

გამოშვება რედაქცია:	პირველი გამოშვება	რედაქცია 1	რედაქცია 2
შენიშვნები	პროექტი კომენტარებზე	საბოლოო	
თარიღი	2023 წლის 3 ნოემბერი	2023 წლის 7 დეკემბერი	
მომზადებულია	ქსენია ბაგრი ოლგა მორდიუკი	ქსენია ბაგრი ოლგა მორდიუკი	
შემოწმებულია ხელმოწერა	ალინა სოკოლენკო	ალინა სოკოლენკო	
უფლებამოსილი პირი ხელმოწერა	ქსენია ბაგრი	ქსენია ბაგრი	
ხელშეკრულების ნომერი			
ანგარიშის ნომერი	პროექტი ვარიანტი 1	საბოლოო ვერსია	

ლექსიკონი

EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESP	გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა
EU	ევროკავშირი
GBVH	გენდერული ძალადობა და შვეიწროება
IFI	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
MBT	მექანიკური და ბიოლოგიური დამუშავება
MRF	მასალების აღმდგენი საწარმო
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PR	შესრულების მოთხოვნები
SEP	დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის გეგმა

შინაარსი

ლექსიკონი	3
1. 7	
1.1. მიმოხილვა	6
1.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზნები	6
2. 9	
3. 13	
3.1. მიმოხილვა	10
3.2. ეროვნული რეგულაციები	10
3.3. EBRD მოთხოვნები	10
4. 16	
4.1. დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა	11
4.2. კომუნიკაციის მეთოდები	12
4.3. მოწყვლადი ჯგუფები	14
5. 22	
5.1. ინფორმაციის გამჟღავნება	14
5.2. ინფორმაციის გამჟღავნების არხები	15
5.3. აქტივობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით	17
5.4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინარე და მიმდინარე აქტივობები	17
6. 30	
6.1. საჯარო საჩივრების განხილვის მექანიზმი შპს "თბილსერვის ჯგუფში"	19
6.2. შემოთავაზებული საჩივრების განხილვის მექანიზმი ანონიმურობის შესაძლებლობით (გენდერული ძალადობის შემთხვევების ჩათვლით)	21
6.3. საჩივრებთან მუშაობის მიდგომის სრულყოფა	22
7. 38	
7.1. მონიტორინგი	24
7.2. 38	
7.3. წლიური ანგარიშგება	24
7.4. ეფექტურობის შეფასება	24
8. 40	
დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განხორციელების გეგმა	25
დანართი 2. დაინტერესებულ მხარეთა რუქების ანალიზი	28
	5

დანართი 3. ჩართულობის აქტივობების დოკუმენტაციის ნიმუში	32
დანართი 4. საჩივრების განხილვის მექანიზმის პროცედურა	33
დანართი 5. საჩივრების განხილვის ფორმა	34
დანართი 6. საჩივრის რეგისტრაციის ფორმა	35
დანართი 7. საჩივრის გამოძიების ანგარიშის ნიმუში	36
დანართი 8. SEP მონიტორინგისა და შეფასების სისტემა	38
დანართი 9. რეკომენდებული აქტივობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით	39

1. შესავალი

1.1. მიმოხილვა

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განიხილავს საქართველოს მთავრობისთვის დაფინანსების გამოყოფის შესაძლებლობას, თბილისში, დიდი-ლილოს სანიტარულ პოლიგონზე ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობაში (პროექტი) ინვესტირების მიზნით.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ (შემდგომში - კომპანია), რომელიც სრულად ქალაქის ბალანსზეა, პასუხისმგებელია თბილისში მყარი ნარჩენების მართვაზე, გარე განათების ქსელების გამართულ მუშაობაზე, ქუჩებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავებასა და ტექნიკურ მომსახურებაზე.

პროექტი ხელს შეუწყობს თბილისში ნარჩენების გადამამუშავებელი ისტორიაში პირველი ქარხნის შექმნას, რომელიც მიზნად ისახავს სანიტარულ ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების სეპარირებას, ასევე მექანიკური და ბიოლოგიური დამუშავების პოტენციური საწარმოს ამოქმედებას. მოსალოდნელია, რომ შემოთავაზებული მასალების აღდგენის ქარხანა („MRF“) თბილისს შეუქმნის შესაძლებლობას განხორციელდეს მშრალი მეორადი ნედლეულის (ანუ ლითონის, შუშის, პლასტიკური შეფუთვის, ქაღალდის და მუყაოს) ცალ-ცალკე შეგროვება, მათი დამატებითი დახარისხება-გადამამუშავება და მეორადი ნედლეულის სახით კომპანიებზე შემდგომი რეალიზაცია. ამასთან ერთად, მექანიკური და ბიოლოგიური დამუშავების (MBT) საწარმოს ფუნქციონირება, შერეული მუნიციპალური ნარჩენების ბიოდეგრადაციისა და მეორადი ნედლეულის დახარისხების შედეგად, ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობის შემცირებას შეუწყობს ხელს.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს პროექტში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმას (SEP), ემსახურება შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას, მათთან საკომუნიკაციო არხების დადგენას და შპს "თბილსერვის ჯგუფი"-ის აქტივობების დაგეგმვას.

SEP ეფუძნება ეროვნულ კანონმდებლობას, ასევე EBRD PR10: ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, ევროკავშირის (EU) დირექტივები და ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებული საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკა. მასში გადმოცემულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და თემებთან კონსულტაციების ორგანიზების მიმართ ზოგადი მიდგომა.

SEP არის მოქმედი დოკუმენტი, პროექტის განხორციელების პროცესში იგი პერიოდულად გადაიხედება და განახლდება საჭიროებისამებრ, ახალი ან

მოდულიზებული საქმიანობის ტიპის, პროექტის დიზაინის ცვლილებების ან ახლად გამოვლენილ დაინტერესებულ მხარეთა ასახვის მიზნით.

1.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზნები

წინამდებარე SEP - სტრატეგიული დოკუმენტია, რომელიც სახელმძღვანელოა კონსულტაციებისა და ინფორმაციის გამჟღავნების მიდგომების დასადგენად, ამასთან დეტალურად გაწერილი და მისაღებია, ადგილობრივ კულტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით. წინამდებარე SEP-ის მიზანია პროექტში კონსულტაციებისადმი და ჩართულობისადმი მიდგომის ჩარჩოს შექმნა, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- განსაზღვრავს ინფორმაციის გამჟღავნებისა და კონსულტაციების მიმართ მოქმედ სამართლებრივ მოთხოვნებს;
- განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებს, რომლებსაც შესაძლოა შეეხოს პროექტი ან დაინტერესდნენ შპს "თბილსერვის ჯგუფის" მომსახურებით;
- უზრუნველყოფს აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეთა სათანადო ჩართულობას ინფორმაციის გამჟღავნების პროცესში და არსობრივი კონსულტაციებით იმ საკითხებში, რომლებიც პოტენციურად შესაძლოა მათაც შეეხოს;
- მუდმივად ინარჩუნებს კონსტრუქციულ ურთიერთობებს დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ჩართულობის უზრუნველყოფით;
- ნერგავს საჩივრების დამუშავების მექანიზმს, რომელიც შესაძლებლობას უქმნის სერვისის მომხმარებლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს დაარეგისტრირონ საჩივრები, მოთხოვნები ან კომენტარები, რომლებიც ოპერატიულად განიხილება შპს "თბილსერვის ჯგუფის" მიერ;
- ადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმებს, რომლებიც თავისუფალია მანიპულაციის, ჩარევის, იძულებისა და დაშინებისგან და ხორციელდება დროული, აქტუალური, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, კულტურულ თავისებურებათა გათვალისწინებით, შესაბამის ფორმატში.

SEP-ის საფუძველზე, შემუშავდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის განხორციელების გეგმა (იხ. დანართი 1), რომელიც უნდა შესრულდეს შპს "თბილსერვის ჯგუფის" მიერ საერთო საპროექტო აქტივობებისა და კოორდინაციის პროცესში.

2. პროექტის წინასტორია

თბილისი საქართველოს დედაქალაქი და უმსხვილესი დასახლებაა, რომელიც მდინარე მტკვრის ნაპირზე მდებარეობს, მოსახლეობა კი დაახლოებით 1,1 მილიონ ადამიანს შეადგენს¹.

დიდი ლილოს ნაგავსაყრელი განთავსებულია თბილისთან ახლოს, საქართველოში. იგი ყველაზე დიდი ნაგავსაყრელია ქვეყანაში, რომელიც თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაახლოებით 80% - ს იღებს. პოლიგონი 2007 წლიდან ფუნქციონირებს და დაახლოებით 40 ჰექტარ ფართობს მოიცავს.



რუქა 1. დიდი ლილოს ნაგავსაყრელი

ნაგავსაყრელის ტერიტორია ძირითადად წარმოდგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დახრილი ბრტყელი ზედაპირით. სხვადასხვა მხრიდან მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულია:


- სამხრეთ - აღმოსავლეთის მიმართულებით-ადგილობრივი დანიშნულების მაგისტრალის გასწვრივ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, ხოლო 350-900 მეტრით დაბლა დინების მიმართულებით- ზემო სამგორის მთავარი არხი;
- ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან-წელუბნის ქედის გასწვრივ ფერდობები და ბორცვები,
- გამოყოფილია საკვლევი ტერიტორიიდან ე. წ. "მარტყოფის სარწყავი არხით" და საექსპლუატაციო გზით, რომელიც ამ არხისკენ მიდის;

¹წყაროები: თბილისის მოსახლეობა 2023 წელს. [ბმული](#)


- აღმოსავლეთიდან აკრავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ყოფილი მეფრინველეობის ფერმის ტერიტორია;
- დასავლეთიდან - დაბალი გორაკები და გაგრძელებაზე სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები.

დიდი-ლილოს ნაგავსაყრელზე უტილიზირებული ნარჩენების საერთო მოცულობა წელიწადში დაახლოებით 370 000 ტონას შეადგენს².


ნარჩენები, ტონა/წელი



ნარჩენების ტრანსპორტირება ნაგავსაყრელზე ნარჩენების გადამტანი სადგურების მეშვეობით, ტონა/წელიწადში



ნარჩენების ტრანსპორტირება პირდაპირ ნაგავსაყრელზე ნაგვის მანქანებით, ტონა/წელიწადში



² თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. [ბმული](#)

სურათი 1- დიდი-ლილოს ნაგავსაყრელზე გატანილი ნარჩენები, ტონა წელიწადში


დღე-ღამური მოცულობა დამოკიდებულია სეზონზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ზაფხულში (ივლისი: 1156 ტონა დღე-ღამეში), ხოლო ყველაზე დაბალი კი, ზამთარში (იანვარი: 824 ტონა დღე-ღამეში).

ყოველდღიურად გატანილი ნარჩენების რაოდენობა ასევე დამოკიდებულია კვირის დღეებზე, ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ორშაბათს (1086 ტონა დღეში) და ყველაზე მცირე კი - კვირას (იანვარი: 894 ტონა დღეში).

თითოეული მოსახლის მიერ ყოველწლიურად წარმოებული ნარჩენების რაოდენობა დაახლოებით 320 კგ შეადგენს წელიწადში ან 0.9 კგ დღეში.

ნაგავსაყრელი მდებარეობს სოფელ სამგორიდან დაახლოებით 1.4-1.5 კმ-ში, სოფელ დიდი ლილოდან 1.2-1.3 კმ-ში, სოფელ ნორიოდან 4.0 კმ-ში, ასევე 7 კმ-ის დაშორებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან. “მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყარების პოლიგონების მოწყობისა და ექსპლუატაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ” (პუნქტი 2.1.7. 005-02) მოთხოვნათა შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად³, პოლიგონის საზღვრებსა და უახლოეს დასახლებულ პუნქტებს შორის მანძილი უნდა აღემატებოდეს 500 მეტრს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ნაგავსაყრელი უახლოეს დასახლებებს გამოეყოფა ბუნებრივი ბარიერებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს შესაძლო უარყოფითი ეფექტების რისკებს.

³წყარო: ⁶ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს № 421 დადგენილება “ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ” ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. **ბმული**



რუქა 2. ნაგავსაყრელის ლოკაცია თბილისთან ახლოს

მიმდებარე სოფლების სიახლოვის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ უკმაყოფილებას გამოთქვამს ნაგავსაყრელის ექსპლუატაციის გამო. 2023 წლის 15-16 ოქტომბერს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, მოაწყვეს საპროტესტო აქცია ლილოს ნაგავსაყრელის დახურვის მოთხოვნით. ადგილობრივი მედიის ცნობით⁴, დემონსტრანტებმა ნაგავსაყრელისკენ მიმავალი გზა გადაკეტეს. ორგანიზატორების განცხადებით, თუ ნაგავსაყრელის პრობლემა უახლოეს მომავალში არ მოგვარდება, ისინი საპროტესტო აქციას თბილისის მერიის წინ გამართავენ. ნაგავსაყრელის მიმდებარე დასახლებული პუნქტების მაცხოვრებლები აცხადებენ, რომ ნარჩენები დროთა განმავლობაში იხრწნება და სიცოცხლისთვის მავნე ტოქსინებს გამოყოფენ, რაც უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, საკითხის მონიტორინგი კი არ ხდება.

⁴ წყარო: ინტერპრესნიუსი. აქცია "დახურეთ ლილოს ნაგავსაყრელი" გრძელდება. სტატია "ინტერპრესნიუსი".
ბმული

საპროტესტო აქციის დასრულების შემდეგ კომპანიამ განიხილა ნაგავსაყრელის ფუნქციონირების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიწოდების ზომები, კერძოდ, ინფორმაციის გამჟღავნება ჰაერის ხარისხის სტანდარტებთან/ნორმებთან შესაბამისობის შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება მოიწვიოს მოქალაქეები ჰაერის ხარისხის ერთობლივ ტესტირებაში მონაწილეობის მისაღებად.

თემების შეშფოთების გათვალისწინებით, კომპანია გეგმავს მათი ჩართულობის გაძლიერებას და გამჭვირვალობის გაზრდას საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიების, პრესრელიზებისა და ზოგადი, თემებზე ორიენტირებული აქტივობების ჩატარებას. მიზანშეწონილია ასევე ჩატარდეს საჯარო კონსულტაციები, ერთობლივი აქტივობები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მეშვეობით კომუნიკაცია, ასევე ადგილობრივი თემებისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება. დეტალური ინფორმაცია თემებთან ურთიერთობის კუთხით დასაგეგმი აქტივობების შესახებ მოცემულია მე-5 თავში "დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა" და რეკომენდებულ აქტივობებში, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით (დანართი 9).

პროექტის განხორციელება გააუმჯობესებს ნარჩენების მართვას ქალაქ თბილისში. პროექტის მოსალოდნელი შედეგი იქნება თბილისის პოტენციალის გაფართოება მშრალი მეორადი ნედლეულის დახარისხებისა და დამუშავების კუთხით, მათ შორის ლითონის, შუმის, პლასტიკის შეფუთვის, ქაღალდისა და მუყაოს ცალ-ცალკე შეგროვდებით. მეორადი ნედლეული დამუშავდება, დაინტერესებულ კომპანიებზე მეორადი ნედლეულის სახით გასაყიდად. გარდა ამისა, თუ მიზანშეწონილად ჩაითვლება მექანიკური და ბიოლოგიური დამუშავების საწარმოს გახსნა, მოსალოდნელია ნაგავსაყრელზე უტილიზაციის მიზნით გასატანი ნარჩენების რაოდენობის შემცირება, რაც ადგილობრივი თემის პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს.

3. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნები

3.1. მიმოხილვა

წინამდებარე SEP შემუშავებულია კანონმდებლობისა და ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნების დაცვით, ასევე ინფორმაციის გამჟღავნების, კონსულტაციებისა და დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის EBRD მოთხოვნათა შესაბამისად.

3.2. ეროვნული რეგულაციები

SEP ეფუძნება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს:

- საქართველოს კონსტიტუცია 24.08.1995 № 786. ბმული
- საქართველოს კანონი "გარემოსდაცვითი ექსპერტიზის კოდექსის შესახებ" 01/06/2017 წ. №890-III. ბმული
- საქართველოს კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 12.10.1996წ., №519. ბმული
- საქართველოს კანონი "ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ" 22.06.1999, N 2116. ბმული
- საქართველოს კანონი "პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" 28.12.2011, №5669-რს. ბმული
- საქართველოს კანონი "ნარჩენების მართვის კოდექსის შესახებ" 26.12.2014, №. 2994-ES. ბმული
- საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსი 17.12.2010 წ. №4113-რს. ბმული
- საქართველოს კანონი "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" 24/06/2004, №220. ბმული
- საქართველოს კანონი "გენდერული თანასწორობის შესახებ" 26/03/2010, №. 2844. ბმული
- საქართველოს კანონი "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" 05.02.2014, №2391-III. ბმული
- საქართველოს კანონი "ჯანდაცვის შესახებ" 12.10.1997 წ., №.1139. ბმული
- საქართველოს მთავრობის 11/08/2015 №. 421 დადგენილება "ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. ბმული
- საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 02.05.2014, №. 1958-III. ბმული
- საქართველოს კანონი ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ 29/05/1998, №. 1401. ბმული
- საქართველოს კანონი "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 25/06/1999, №.2181. ბმული

3.3. EBRD მოთხოვნები

პროექტი დაფინანსებულია EBRD-ის მიერ და, შესაბამისად, სტრუქტურირებულია EBRD-ის 2019 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (ESP) და EBRD-ს (PRs)

შესრულების მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის PR 10: ინფორმაციის გამჟღავნება და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.

EBRD-ის SEP განსაზღვრავს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- შესაბამისი ინფორმაციის საჯარო გამჟღავნება;
- არსებითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან;
- ეფექტური პროცედურა ან მექანიზმი, რომელიც იძლევა კომენტარებისა ან პრეტენზიების განცხადების შესაძლებლობას.

EBRD მოითხოვს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მიმართ:

- უზრუნველყოს დაზარალებული თემებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ შესაბამისი, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის დროული წვდომა, კულტურული ტრადიციების გათვალისწინებით და მანიპულირების, ჩარევის, იძულებისა და დაშინების გარეშე;
- მოიცავს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და ანალიზს, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დაგეგმვას, ინფორმაციის გამჟღავნებას, კონსულტაციებსა და ჩართულობას, საჩივრების განხილვის მექანიზმს და შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა წინაშე მუდმივ ანგარიშგებას;
- უზრუნველყოს პროექტის ხასიათისა და მასშტაბის და თემებზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის, გარემოს მგრძობელობისა და საზოგადოებრივი ინტერესის დონის პროპორციულობა;
- მკაფიოდ განსაზღვრული როლების, ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების დადგენა;
- კომპანიის პერსონალის დანიშვნა საკონსულტაციო და გამჟღავნების ღონისძიებათა განსახორციელებისა და მონიტორინგის მიზნით.

შესრულების მოთხოვნების გარდა, EBRD-ს ასევე გააჩნია სახელმძღვანელო პრინციპები შესრულების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. PR10: ინფორმაციის გამჟღავნებასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, EBRD უზრუნველყოფს საუკეთესო პრაქტიკის დოკუმენტით: [How to implement our performance requirement](#), რომელიც შემუშავებულია ფინანსური ინსტიტუტების მრავალმხრივი სამუშაო ჯგუფის მიერ E&S სტანდარტების დაცვით, ძირითადად პრაქტიკოსი-სპეციალისტების სახელმძღვანელოდ, რომლებსაც ევალებათ კონსულტაციებისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ორგანიზება. მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი კონკრეტულად არ ეხება PR 10-ს, იგი აჯამებს

დაინტერესებული მხარეთა ჩართულობის მეტად მნიშვნელოვან მიზნებს, პრინციპებსა და ელემენტებს.

4. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და კომუნიკაციის მეთოდები

4.1. დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა

დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიკაცია - წარმოადგენს ყველა არსებული ფიზიკური პირისა და ორგანიზაციის ანალიზს, რომელიც ურთიერთქმედებს კომპანიასთან ცხოვრების მთელი ციკლის განმავლობაში, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე საქმიანობის ზეგავლენის გათვალისწინებით.

შპს " თბილსერვის ჯგუფს " არ გააჩნია იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეთა რეგისტრაციის შიდა დოკუმენტები. დაინტერესებული მხარეების გამოვლენა ხდება კომპანიის მიერ განხორციელებული თითოეული საერთაშორისო პროექტის პროცესში. რეკომენდებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შიდა პროცედურის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის დაინტერესებულ მხარეთა სიის დადგენას.

ამ SEP-ის მიზნებისთვის, დაინტერესებული მხარეები იდენტიფიცირდებიან შემდეგ ჯგუფებში:

- **გარე დაინტერესებული მხარეები**, მათ შორის: კლიენტები (თბილისის მაცხოვრებლები, კერძო სექტორი), ადგილობრივი თემები, მოწყვლადი ჯგუფები (ქალები, ბავშვები, მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები), ადგილობრივი ხელისუფლება და სამთავრობო დაწესებულებები, ინვესტორები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (IFIs), მომწოდებლები, კონტრაქტორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციები, აკადემიური საწესებულებები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.
- **შიდა დაინტერესებული მხარეები**, მათ შორის: თანამშრომლები, პროფკავშირები

აღნიშნულ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფები იდენტიფიცირებულია, მათთან საუკეთესო კომუნიკაციის საშუალების ანალიზით, მასმედიის ტიპების მიხედვით, რომლებსაც ისინი სავარაუდოდ ყველაზე მეტად გამოიყენებენ და თავს ყველაზე კომფორტულად იგრძნობენ. სხვადასხვა შეხედულების მქონე დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ ადგილობრივი პირობების ან/და

ზემოქმედებების, რისკებისა და სარგებლის ახლებურად აღქმაში, რაც გამოიწვევს მოქმედებების ახალი შესაძლებლობების გამოვლენას. დროთა განმავლობაში დაინტერესებული მხარეების ან/და კომუნიკაციის მეთოდების ჩამონათვალი ადაპტირებულ უნდა იქნას ცვალებად გარემოებებთან, ამიტომ რეკომენდებულია შპს "თბილსერვის ჯგუფმა" ჩაატაროს დაინტერესებულ მხარეთა პერიოდული მიმოხილვა და პერიოდულად განაახლოს დაინტერესებულ მხარეთა მონაცემთა ბაზა.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესაბამისი სტრატეგიის დასადგენად დაინტერესებული მხარის თითოეული ჯგუფისთვის გამოიყენეს ორგანოზომილებიანი მიდგომა:

- **დაინტერესების დონე** განსაზღვრავს, თუ რამდენადაა დაინტერესებული მხარე შედეგებით და შესაძლოა თუ არა ისინი გახდნენ ბენეფიციარები ან უარყოფითი შედეგები გამოიწვიონ.
- **გავლენის დონე** განსაზღვრავს ხარისხს, თუ რამდენად შეუძლია დაინტერესებულ მხარეს განაპირობოს ან შეაფერხოს პროექტის განხორციელება, მაგალითად, დაფინანსების, კანონმდებლობის, საპროტესტო აქციების და ა.შ. საშუალებით.

დაინტერესებული მხარეები **დიდი გავლენითა** და **დიდი დაინტერესებით** წარმოადგენენ ყველაზე დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ პროექტის წარმატებაზე. მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო.


დაინტერესებული მხარეები **დიდი გავლენითა** და **დაბალი დაინტერესებით** - არიან ისეთები, რომლებსაც მცირედი ინტერესი გააჩნიათ, მაგრამ ფლობენ მნიშვნელოვან ძალაუფლებას, გავლენა მოახდინონ პროექტის წარმატებაზე. საჭიროა მათი მუდმივი დაკმაყოფილება, რათა თავიდან იქნას აცილებული პროექტისთვის არასახარბიელო შედეგები.

დაინტერესებული მხარეები **დაბალი გავლენითა** და **მაღალი დაინტერესებით** ძლიერ დაინტერესებას იჩენენ, მაგრამ მათ არ გააჩნიათ პროექტზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი. ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ ინფორმირებული სერიოზული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ამ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში სარგებლის მოტანა შეუძლიათ.

დაინტერესებული მხარეები **დაბალი გავლენითა** და **დაბალი დაინტერესებით** გააჩნიათ მინიმალური ინტერესი და პროექტის წარმატებაზე გავლენის შეზღუდული შესაძლებლობა. აუცილებელია მათი მონიტორინგი და ინფორმირება, საჭიროებისამებრ.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პირდაპირპროპორციულია საქმიანობაზე ზეგავლენისა და დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფზე ზეგავლენის დონის ზრდასთან ან

პროექტზე კონკრეტული დაინტერესებული მხარის ზეგავლენის დონის ზრდასთან ერთად, ამ კონკრეტულ ჯგუფთან ურთიერთქმედება უნდა გაიზარდოს და გაღრმავდეს ჩართულობის სიხშირისა და ინტენსივობის კუთხით. შესაბამისად, თითოეული დაინტერესებული მხარე ან დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი უნდა იყოს შესატყვისად მართული. ქვემოთ მოცემული დაინტერესებულ მხარეთა შედარება გამოიყენება დაინტერესებულ მხარეთა პრიორიტეტების დასადგენად პროექტის მიმდინარეობის ან ოპერატიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.



სურათი 2. დაინტერესებულ მხარეთა შედარება

დაინტერესებულ მხარეთა შედარება ჩატარდა იდენტიფიცირებულ დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფებისა და მათი გავლენის მიხედვით. რუკა წარმოადგენს დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებასა და ანალიზს და ადგენს მათი შემდგომი ჩართულობის პრიორიტეტებს (იხ. დანართი 2).

4.2. კომუნიკაციის მეთოდები

ცხრილი 1. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და კომუნიკაციის მეთოდები

დაინტერესებული მხარეები	კომუნიკაციის მეთოდები
გარე დაინტერესებული მხარეები	
მომხმარებლები (თბილისის მაცხოვრებლები, კერძო სექტორი)	კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, საჩივრების განხილვის მექანიზმი, ცხელი ხაზი, პრეს-რელიზები,

	<p>თბილისის მერიის ოფიციალური არხები, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია.</p> <p>რეკომენდებულია: საჯარო კონსულტაციები.</p>
<p>ადგილობრივი თემები</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები:</p> <p>შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები, საჩივრების განხილვის მექანიზმი, ცხელი ხაზი, პრესრელიზები, თბილისის მერიის ოფიციალური არხები.</p> <p>რეკომენდებულია: საჯარო კონსულტაციები, ერთობლივი ღონისძიებები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მეშვეობით კომუნიკაცია, ადგილობრივ თემებზე შესაბამისი დოკუმენტაციის მიწოდება.</p>
<p>მოწყვლადი ჯგუფები (ქალები, ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები)</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი, სოციალური ქსელები, საჩივრების განხილვის მექანიზმი, ცხელი ხაზი, პრესრელიზები, თბილისის მერიის ოფიციალური არხები.</p> <p>რეკომენდებულია: საჯარო კონსულტაციები, კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების მეშვეობით.</p>
<p>ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და სამთავრობო უწყებები</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: ინდივიდუალური შეხვედრები, საინფორმაციო კამპანიის მასალები, ოფიციალური წერილები, შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებ-გვერდი.</p> <p>რეკომენდებულია: კონსულტაციები შესაბამის სამთავრობო უწყებებთან საპროექტო საქმიანობასთან დაკავშირებით.</p>
<p>ინვესტორები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (MFIs)</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: სახელშეკრულებო ვალდებულებები, ოფიციალური წერილები, ინდივიდუალური შეხვედრები, შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებ-გვერდი, თბილისის მერიის ოფიციალური არხები.</p> <p>რეკომენდაცია: არ არის</p>

<p>მომწოდებლები, კონტრაქტორები</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: სახელშეკრულებო ვალდებულებები, ქცევის კოდექსი, ინდივიდუალური შეხვედრები, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი.</p> <p>რეკომენდაცია: არ არის</p>
<p>არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციები (Greenpole⁵, CENN⁶, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი⁷, მდგრადი კავკასია⁸, ასოციაცია მწვანე ალტერნატივა, ⁹საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები¹⁰, საქართველოს ბუნების მკვლევართა საზოგადოება "ორქისი"¹¹, ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC)¹², პარტნიორობა ¹³ადამიანის უფლებებისთვის, Human Rights Center, ¹⁴ფონდი "საქართველოს ღია საზოგადოება"¹⁵)</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: ზოგადი ღონიძობები, შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებ-გვერდი, თბილისის მერიის ოფიციალური არხები.</p> <p>რეკომენდებულია: ინდივიდუალური შეხვედრები, საჯარო კონსულტაციები.</p>
<p>აკადემიური დაწესებულებები</p>	<p>კომუნიკაციის მეთოდები: არ არის</p> <p>რეკომენდებულია: შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი, საჯარო კონსულტაციები.</p>

⁵ჩანაწერები: Greenpole. ბმული

⁶ CENN. ბმული

⁷ განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი. ბმული

⁸ სტაბილური კავკასია. ბმული

⁹ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა". ბმული

¹⁰ მოძრაობა "საქართველოს მწვანეები" / "დედამიწის მეგობრები". ბმული

¹¹ საქართველოს ბუნების მკვლევართა საზოგადოება "ორქისი". ბმული

¹² ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC). ბმული

¹³ჩანაწერები: პარტნიორობა ადამიანის უფლებების დაცვისთვის. ბმული

¹⁴ ადამიანის უფლებათა ცენტრი. ბმული

¹⁵ ფონდი ღია საზოგადოება საქართველო. ბმული

<p>მასობრივი ინფორმაციის საშუალებები</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: პრესრელიზები, ბრიფინგები.</p> <p>რეკომენდებულია: სოციალური ქსელები, საჯარო კონსულტაციები.</p>
<p>შიდა დაინტერესებული მხარეები</p>	
<p>თანამშრომლები</p>	<p>კომუნიკაციის დანერგილი მეთოდები: ინფორმაცია ხელშეკრულებაში, ქვევის კოდექსი, პერსონალის კრებები, კომპანიის განცხადებები, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ტექსტური შეტყობინებები.</p> <p>რეკომენდებულია: საჩივრების განხილვის პროცედურა, ანონიმურობის შესაძლებლობით.</p>
<p>პროფკავშირები</p>	<p>კომუნიკაციის მეთოდები: არ არის</p> <p>რეკომენდებულია: პროფკავშირის შეხვედრები და შეტყობინებები, საჩივრების განხილვის პროცედურა.</p>

4.3. მოწყვლადი ჯგუფები

მოწყვლადი ჯგუფები ცალკე ჯგუფებად უნდა გამოიყოს. ზოგიერთი ცალკეული პირი ან ჯგუფი შესაძლოა მოექცეს დაუცველობის ან მოწყვლადობის გაზრდილი რისკის ქვეშ, მაგალითად, სოციალური სტიგმატიზაციის გამო. დაინტერესებულ მხარეებს, როგორცაა ქალები, ბავშვები და სოციალურად მოწყვლადი თემები, შესაძლოა დასჭირდეთ კომუნიკაციის დამატებითი მეთოდები SEP კონტექსტში (მაგალითად, ინფორმაციის ზეპირი გაცვლა, განათლების დაბალი დონის მქონე თემებში). პოტენციური ბარიერების (როგორცაა ენა, კულტურა, გენდერული და ძალაუფლების დისბალანსი, სოციალური უთანასწორობა თემებში და ა.შ.) ადრეული გამოვლენა და აღმოფხვრა, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია SEP ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

გამოვლენილია რამდენიმე მოწყვლადი ჯგუფი, მათ შორის ქალები, ბავშვები, მოხუცები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. დაგეგმილია კომუნიკაციის სპეციალური მეთოდების გამოყენება ამ ჯგუფების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მიზანშეწონილია, შპს "თბილსერვის ჯგუფმა" არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების დახმარებით ჩაატაროს საჯარო კონსულტაციები და კომუნიკაცია, როგორც

სოციალურად მოწყვლად ჯგუფებთან კომუნიკაციის დამატებითი მეთოდი, რათა უფრო ეფექტურად იქნას მოცული ასეთი ჯგუფები.

5. დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

5.1. ინფორმაციის გამჟღავნება

ინფორმაციის გამჟღავნება აუცილებელია ადგილობრივ თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად, რათა ისინი ინფორმირებული იყვნენ საპროექტო საქმიანობის, ეფექტურობისა და განხორციელების შესახებ.

გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაცია რეგულირდება, როგორც საქართველოს ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებითა და სტანდარტებით, როგორცაა EBRD PRs10.

ყველა პერსონალური მონაცემი ექვემდებარება დამუშავებას ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2016 წლის 27 აპრილის, ფიზიკური პირების დაცვის, პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი გადაცემის შესახებ რეგულაციის (EU) 2016/679 შესაბამისად, 95/46/EC დირექტივის გაუქმებით (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტი).

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესის ფარგლებში საჭიროა გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის წინასწარი სიის მომზადება, უფრო მეტად რელევანტური ინფორმაციის დასადგენად. გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის წინასწარი ჩამონათვალი, წარმოდგენილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის წინასწარი ჩამონათვალი

თემა	თემა
სერვისის განახლება	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი; • ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; • სარემონტო სამუშაოები
პროექტის სტატუსის განახლება	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის არატექნიკური დეტალები; • დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ; • მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, მომსახურების შეფერხებები;

	<ul style="list-style-type: none"> საინვესტიციო მონაცემები.
--	--

წარმოდგენილი წინასწარი სიის საფუძველზე, საჭიროა კონსულტაციების გზით ძირითად დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა, რათა მიღებულ იქნას გამოხმაურება შემოთავაზებულ თემებზე, პროექტში მონაწილეობის შესახებ.

5.2. ინფორმაციის გამჟღავნების არხები

დაინტერესებული მხარეებზე ინფორმაციის გამჟღავნების არხები - სხვადასხვა საშუალებებია, რომელსაც კომპანია იყენებს კომუნიკაციისა და შესაბამისი ინფორმაციის დაინტერესებულ მხარეებზე გასაზიარებლად. ინფორმაციის ადეკვატური გამჟღავნება უმნიშვნელოვანესია გამჭვირვალობის, ნდობის უზრუნველსაყოფად და დაინტერესებულ მხარეებთან პოზიტიური ურთიერთობების შესანარჩუნებლად.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში 3 წარმოდგენილია კომუნიკაციის მეთოდები და პროექტის საქმიანობის ფარგლებში გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაცია.

ცხრილი 3. კომუნიკაციის მეთოდები და ინფორმაციის გამჟღავნება პროექტის საქმიანობის ფარგლებში

დაინტერესებული მხარეები	კომუნიკაციის მეთოდი	გამჟღავნებას დაქვემდებარებული ინფორმაცია	დროის ფარგლები
კლიენტები (თბილისის მაცხოვრებლები, კერძო სექტორი)	<ul style="list-style-type: none"> • შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; • ცხელი ხაზი; • თბილისის მერიის ოფიციალური არხები; • სოციალური ქსელების გვერდები; • საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და პრეს-რელიზები; • ანგარიში 	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი • ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; • სარემონტო სამუშაოები • პროექტის არატექნიკური დეტალები; • მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, მომსახურების შეფერხებები; 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ
ადგილობრივი თემები	<ul style="list-style-type: none"> • შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; • ცხელი ხაზი; 	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი • ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; • სარემონტო სამუშაოები 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ

დაინტერესებული მხარეები	კომუნიკაციის მეთოდი	გამყვანებას დაქვემდებარებული ინფორმაცია	დროის ფარგლები
	<ul style="list-style-type: none"> • თბილისის მერიის ოფიციალური არხები; • სოციალური ქსელების გვერდები; • საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და პრეს-რელიზები; • ზოგადი მოვლენები; • კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებითა და ასოციაციებით 	<ul style="list-style-type: none"> • პროექტის არატექნიკური დეტალები; • მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, მომსახურების შეფერხებები; 	დასრულების შემდეგ
მოწყვლადი ჯგუფები (ქალები, ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები)	<ul style="list-style-type: none"> • შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; • ცხელი ხაზი; • თბილისის მერიის ოფიციალური არხები; • სოციალური ქსელების გვერდები; • საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და პრეს-რელიზები; • კომუნიკაცია არასამთავრობო ორგანიზაციებითა და ასოციაციებით 	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი • ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; • სარემონტო სამუშაოები • პროექტის არატექნიკური დეტალები; • მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, მომსახურების შეფერხებები; • დასაქმების შესაძლებლობები. 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ
ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და სამთავრობო უწყებები	<ul style="list-style-type: none"> • შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; • თბილისის მერიის ოფიციალური არხები; • პირდაპირი კომუნიკაცია; • ანგარიში 	<ul style="list-style-type: none"> • ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი • ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; • სარემონტო სამუშაოები • პროექტის დეტალები; • მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ

დაინტერესებული მხარეები	კომუნიკაციის მეთოდი	გამყვანებას დაქვემდებარებული ინფორმაცია	დროის ფარგლები
		<p>მომსახურების შეფერხებები;</p> <ul style="list-style-type: none"> დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი და დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ. 	
ინვესტორები და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები (MFIs)	<ul style="list-style-type: none"> პირდაპირი კომუნიკაცია; ანგარიში 	<ul style="list-style-type: none"> პროექტის დეტალები; დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი და დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ; საინვესტიციო მონაცემები; დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით. 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში
მომწოდებლები, კონტრაქტორები	<ul style="list-style-type: none"> პირდაპირი კომუნიკაცია; ანგარიში კონსულტაციები; საინფორმაციო დაფები. 	<ul style="list-style-type: none"> პროექტის დეტალები; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობები და საჩივრების განხილვის მექანიზმი; სოციალური საკითხები და შრომის პირობები; შიდა განაწესი; გადაუდებელი პროცედურა. 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში
არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციები	<ul style="list-style-type: none"> შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; თბილისის მერიის ოფიციალური არხები; სოციალური ქსელების გვერდები; 	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; პროექტის დეტალები; დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი და 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ

დაინტერესებული მხარეები	კომუნიკაციის მეთოდი	გამყვანებას დაქვემდებარებული ინფორმაცია	დროის ფარგლები
	<ul style="list-style-type: none"> პირდაპირი კომუნიკაცია; საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიები და პრეს-რელიზები; ანგარიში 	<p>დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ;</p> <ul style="list-style-type: none"> დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით. 	
მასობრივი ინფორმაციის საშუალებები	<ul style="list-style-type: none"> შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი; თბილისის მერიის ოფიციალური არხები; სოციალური ქსელების გვერდები; პირდაპირი კომუნიკაცია; ანგარიში 	<ul style="list-style-type: none"> ნაგავსაყრელის ჰაერის ხარისხი ნარჩენების უტილიზაციის ხარვეზები; სარემონტო სამუშაოები პროექტის დეტალები; მომსახურების განახლება, მათ შორის სატარიფო ცვლილებები, მომსახურების შეფერხებები; დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი და დასრულებული სამშენებლო სამუშაოების შესახებ. 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ
თანამშრომლები	<ul style="list-style-type: none"> პირდაპირი კომუნიკაცია; შიდა შეხვედრები; კონსულტაციები; საინფორმაციო დაფები; შრომითი ხელშეკრულებები და თანამდებობრივი ინსტრუქცია 	<ul style="list-style-type: none"> პროექტის დეტალები; დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით დაგეგმილი და მიმდინარე აქტივობები და საჩივრების განხილვის მექანიზმი; სოციალური საკითხები და შრომის პირობები. 	პროექტის დაწყებამდე / პროექტის განმავლობაში / პროექტის დასრულების შემდეგ

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დადგინდეს, რომელ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ან აქვს სურვილი გამოიყენოს ერთი და იგივე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ასეთი

დამოკიდებულება შესაძლოა ნაკარნახევი იყოს პირადი სიმპათიებით, ისეთი ფაქტორებით, როგორცაა ასაკი ან სქესი, განისაზღვროს ფინანსური რესურსებით, დამოკიდებული იყოს ადამიანის განათლებაზე ან აღქმის უნარზე, ან კიდევ მოტივირებული იყოს სხვადასხვა მიზეზებით. ამიტომ, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის ხელშესაწყობად რეკომენდებულია ინფორმაციის მიწოდების რამდენიმე განსხვავებული მეთოდის გამოყენება.

5.3. აქტივობები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის კუთხით

საკონსულტაციო და ინფორმაციის გამჟღავნების კონკრეტული ღონისძიებები, მათი თანმიმდევრობა და პასუხისმგებელი პირები, ჯერ არ დადგენილა. ამასთან, შპს "თბილსერვის ჯგუფს" ეძლევა რეკომენდაცია პროექტში დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის მიზნით დაგეგმოს აქტივობები, რათა მოქალაქეებს გაუზიაროს პროექტის გეგმა, მიზნები და სავარაუდო ვადები, ასევე თითოეული ეტაპის დეტალები: საწყისი აქტივობები, მიმდინარე პროგრესი და პროექტის განხორციელების პროცესში დამდგარი შედეგები:

- პროექტის დაწყებამდე თბილისის მასშედიის წარმომადგენლებისთვის ბრიფინგის გამართვა;
- საჯარო მოსმენების ჩატარება ძირითად დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით;
- შპს "თბილსერვის ჯგუფის" ოფიციალურ ვებგვერდზე³ და Facebook- გვერდზე⁴ პროექტის შესახებ ძირითადი ინფორმაციის განთავსება;

შპს "თბილსერვის ჯგუფს" მიეცა რეკომენდაცია ჩართულობის აქტივობათა დასაფიქსირებლად ამ დოკუმენტში წარმოდგენილი ფორმატის ანალოგიურის გამოყენების (იხ. დანართი 3).

5.4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის წინარე და მიმდინარე აქტივობები

შპს "თბილსერვის ჯგუფს" ფლობს საკომუნიკაციო არხებს, რომელთა მეშვეობითაც აქვეყნებს განახლებულ ინფორმაციას და პროექტების განხორციელების კუთხით აქტიურად ეწევა საზოგადოების ინფორმირებას, ოფიციალური არხებით. ეს არხები თავის თავში მოიცავენ შემდეგს:

- ვებ-გვერდი¹⁶

¹⁶ ჩანაწერები: შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდი. ბმული

- Facebook გვერდი¹⁷

საზოგადოებასთან კომუნიკაცია ძირითადად თბილისის მერიის არხებით ხორციელდება. მერია იტყობინება პროექტების არატექნიკურ ასპექტებზე და წარმოადგენს იმ ინფორმაციის ძირითად წყაროს "თბილსერვის ჯგუფის" საქმიანობის შესახებ, რომელიც ექვემდებარება გასაჯაროებას.




სურათი 3- სიახლე "თბილსერვის ჯგუფის" შესახებ, თბილისის მერიის საინფორმაციო გვერდზე¹⁸

თბილისის მერიის წარმომადგენლები რეგულარულად ატარებენ კონფერენციებს / პრეზენტაციებს, ქალაქში მნიშვნელოვანი სიახლეებისა და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის გასაზიარებლად.

¹⁷ შპს "თბილსერვის ჯგუფის" Facebook გვერდზე. [ბმული](#)

¹⁸ თბილისის მერიის სიახლეების გვერდი. [ბმული](#)




სურათი 4 - თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა დიდი-ლილოს მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე მიმდინარე საპროტესტო აქციების შესახებ¹⁹

ახალი ამბები ასევე გამოქვეყნებულია კომპანიის ვებ-გვერდზე სიახლეების გვერდზე²⁰. Facebook პლატფორმა აქტიურად გამოიყენება ნებისმიერი პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში საზოგადოებისგან უკუკავშირის მისაღებად.

¹⁹ წყაროები: . თბილისის მერის განცხადება დიდი-ლილოს მუნიციპალურ ნარჩენების პოლიგონზე საპროტესტო აქციების შესახებ. Facebook პოსტი. [ბმული](#)

²⁰ "თბილსერვის ჯგუფის" საინფორმაციო გვერდი. [ბმული](#)



სურათი 5 - სიახლე მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრის შესახებ ²¹თბილსერვის ჯგუფის საინფორმაციო გვერდზე

კომპანია მუდამ მზადაა კომუნიკაციისთვის და ყოველთვის აზიარებს საპროექტო დოკუმენტაციას არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნით.

კომპანია ასევე თანამშრომლობს გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებთან სხვადასხვა ღონისძიებებზე, რათა მხარი დაუჭიროს მათ საქმიანობას ან ორგანიზება გაუწიოს ზოგად საჯარო აქტივობებს, როგორცაა ურბანული ზონების, პარკების, მთების და ა.შ. საზოგადოებრივი დასუფთავება

კომპანია სარგებლობს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს სსიპ (MSDA) სახელმწიფო ელექტრონული დოკუმენტბრუნვით, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და სამთავრობო უწყებებთან ურთიერთქმედების მიზნით.

6. საზოგადოებრივი საჩივრების განხილვის მექანიზმი

6.1. საჯარო საჩივრების განხილვის მექანიზმი შპს "თბილსერვის ჯგუფში"

საჩივრების განხილვის მექანიზმი არის კომპანიის მიერ შექმნილი კომუნიკაციის ფორმალიზებული ინსტრუმენტი, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ

²¹ სიახლე მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრის შესახებ. [ბმული](#)

შესაძლებლობა გამოხატონ შეშფოთება მათზე კომპანიის საქმიანობის ზეგავლენის შესახებ წარსულში, აწმყოსა ან მომავალში. მექანიზმი ხელს უწყობს პრობლემების ადრეულ ეტაპზე, მათ წარმოქმნამდე და ესკალაციამდე გამოვლენას და მოიცავს მაკორექტირებელი ქმედებების ფორმირების ეტაპს, რომელიც დაგეგმილი აქტივობების საჩივარში გამოვლენილი პრობლემის მოგვარებასა და მომავალში მსგავსი შემთხვევების პრევენციას ემსახურება.

შპს "თბილსერვის ჯგუფში" საზოგადოებრივი საჩივრების განხილვის მექანიზმი შემდეგნაირად მუშაობს.


1. შპს "თბილსერვის ჯგუფის" მისამართით მომხმარებელთა საჩივრები და წინადადებები შემოდის შემდეგი სახით:

- Chatbot ვებ-გვერდზე²²;
- ელექტრონული ფოსტის მისამართზე: info@tbsg.ge;
- სოციალური ქსელების გვერდზე (შპს "თბილსერვის ჯგუფის" Facebook გვერდი²³);
- შპს "თბილსერვის ჯგუფის" ცხელი ხაზი: 2619050;
- თბილისის მერიის ცხელი ხაზი: 2722222;
- თბილისის მერიის ელექტრონული ფოსტა: info@tbilisi.gov.ge;
- მობილური აპლიკაცია " Fix Tbilisi ".²⁴

²² ჩანაწერები: ვებ-ჩატ-ბოტი შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდზე. ბმული

²³ შპს "თბილსერვის ჯგუფის" Facebook გვერდზე. ბმული

²⁴ მობილური აპლიკაცია " Fix Tbilisi ". ბმული



მოგესალმებით! რით შეგვიძლია დაგეხმაროთ?

მოთხოვნის სწრაფად და კომფორტულად გასაგზავნად დააკლიკეთ ღილაკს და უპასუხეთ რამდენიმე მარტივ კითხვას

მოთხოვნის გაგზავნა

სურათი 6. ჩეთ-ბოტი კითხვების, საჩივრებისა და წინადადებების მისაღებად შპს "თბილსერვის ჯგუფის" ვებგვერდზე

